№ 151, ივლისს 16, სამშაბათი. 1866—1885 ივლისის 16, სამშაბათი. № 151.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯიშვილის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50 კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული გვერდი 25 მანათი; პირველი 50 %. [illegible] ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის გვალობაზედ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გაახწორებს და შეამოკლებს დახასიათებულ გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метиль., Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა ვაზეთის „დროებაზე“

ივლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი

თბილისის ქალაქის გამგეობაში კვირა-უქმე დღეების გარდა ყოველ-დღე დილის ათ საათიდამ პირველ საათამდის მიიღება ხელის მოწერა ფულის შესაგროვებლად განსვენებული გენერალ-ადიუტანტის გენერალ-ოტ-ინფანტერიის თავადის გრიგოლ დიმიტრის ძის ოლბელი ნის ძეგლის ასაგებად ქალაქს თბილისში. (3—2)

ახალი ქართული ვაზეთი

თბილისი, ივლისის 16-ს.

ამ დღესაც მოვესწარით.... ორი სპეციალური დრო გამოშვებითი გამოცემა გვაქვს... სასულიერო, პედაგოგიური და გუშინდელმა დღემ კიდევ მესამე მოძმე შეგვძინა, რომელსაც დაბადებიდამ თავისი დანიშნულება დიდის ასოებით შუბლზედ აკერია. ეს გახლავთ «თეატრი»—«ლიტერატურული და მხატვრობითი» გაზეთი გამოცემული ბ-ნი ვ. აბაშიძის რედაქციით და განსაკუთრებული თანამშრომელობით ჩვენის მხატვრის ბ-ნი ბერიძისა, რომელსაც ამ ნომრისათვის შოთა რუსთაველის და ვიქტორ ჰიუგოს სურათები მოუმზადებია.

სახელი ამ გამოცემას თუმცა სპეციალური აქვს და მკითხველმა შეიძლება იფიქროს რომ იგი მხოლოდ თეატრს უნდა შეეხებოდეს, მაგრამ, თუ ასე ჰგონია, სცდება. ამ გაზეთის მოთავეთ სურთ, «თავიანთ ასპარეზის რაოდენობას ვიწრო ფარგლით არ შემოავლონ ხაზი, რადგან სიტყვას «თეატრს» ისინი მომეტებულს მნიშვნელობას აძლევენ და თეატრად მიიჩნიათ მთელი ქვეყანა, რომლის სცენაზედაც ყველა ჩვენგანს რაიმე ალაგი უჭირავს». ამით აიხსნება, რომ ამ გამოცემაში რამდენიმე ლექსსა და წერილს პატარა თეატრთან არაფერი დამოკიდებულება არა აქვთ-რა და «დიდ თეატრთან» აქვთ რაიმე დამოკიდებულება თუ არა, ჯერ ეს ძნელი გამოსაცნობია.

ბევრნი ეჭვის თვალით უყურებენ ამ გამოცემას, ბევრნი ამბობენ, როგორლაც ჭკუაში არ მოდის, რომ იმისთანა ლიტერატურაში, რომელსაც ერთის გაზეთისა და ერთის ჟურნალის მეტი არა აქვს, სამმა სპეციალურმა გამოცემამ იდღეგრძელონო, ზოგნი დღე-ნაკლებობასაც უქადიანო «თეატრს», მაგრამ ჩვენ ამ პესიმისტების დასს არ ვეკუთვნით და პასუხად მივუგებთ, რომ ჩვენს ლიტერატურას უყვარს ხანდისხან ჩვეულებრივი კანონების გადაბიჯება და ამ შემთხვევაშიაც შეიძლება უცნაურობით გაგვაკვირვოს. დღე-ნაკლებობაზედ კი უნდა ვსთქვათ, რომ თვით ის გამოჩენილი საფრანგეთის პოეტი, რომლის სურათი ამ ნომერშია დახატული დაბადების დღეს ძალიან მჩატე ქმნილება იყო, მაგრამ ოთხმოცდა სამი წელიწადი იცოცხლა და მთელს ქვეყანაზედ დიდი სახელი გაითქვა. შორი შორს შედარება კია, მაგრამ იქნება თავის დროზედ ახლად დაბადებულმა ბავშვმაც თავი ისახელოს, ისახელოს მაშინ, როდესაც იარალჩინს მოჰხდიან და ძუძუს გააშვებინებენ. მაინც თვითონ გამომცემელიც გვპირდება თან-და-თან გაუმჯობესობას და ჩვენც მეტი ალარა დაგვრჩენია-რა, რომ თანაგრძნობით მივუხმაუროთ: ღმერთმა ჰქნას, ღმერთმა ჰქნას!

მინამდის კი ჩვენი ახალგაზდა მოძმე, ვგონიეთ, არ დაგვემდურება, თუ ვისურვებთ, რომ შემდეგში მისს სურათებს პატარა მეტი სიცხადე დაეტყოთ, მისს წერილებს პატარა უფრო დალაგებულობა, მისს ლექსებს პატარა უფრო მეტი პოეზია და მისს ენას პატარა უფრო მჭრელი შალაშინი გაეკრას ..

ქიარიმის ამბები

ივლისის 10 დილიჟნის გზაზედ ამ გამოჩენილი ყაჩაღისაგან ჩადენილი ამბები იმდენად საყურადღებო და წრესგადასულია, რომ ჩვენ საჭიროდ ვხადით ჩვენს მკითხველებს ეცნობოთ ყოველივე, რაც კი რამ შეეხება ამ შესანიშნავს დღეს.

ქიარიმის ტყეთა შორის ყოფილა ერევნის გამომძიებელი ბ. ჟურნოსოვი, რომლის ნათქვამსაც მოგვითხრობს გაზ. «ახ მიმოხ».

ამ დღეს შუადღის უკან ორ საათზედ ჟურნოსოვი და პროვიზორი საექიმო აკადემიისა ყალანთაროვი გამოსულან ტარსჩაის სტანციიდამ ქარავან-სარაის სტანციისკენ. ეს გზა ბევრგან არის მისახვევ-მოსახვევი. გამოსცილებიან თუ არა ჩაფრების პოსტს, მისახვევთან ჟურნოსოვს დაუნახავს ერთი ჩასხმული თათარი, რომელსაც პიბოდის თოფი პირ-და-პირ თვალში მიუმიზნავს და დაუყვირნია: «გაჩერდიო!» ჟუჩერს ცხენები დაუყენებია. წინააღმდეგობით, თურმე, არა გამოვიდოდა-რა. თათარს უთქვამს მგზავრებისათვის ჩამომხტარიყვნენ და იქვე მინდვრისაკენ გაჰყოლოდენ; კუჩერიც უკან წაჰყოლია. თათარს აუღია რევოლვერი, რომელიც იქვე დებულიყო, სადაც ჟურნოსოვი იჯდა. ოციოდე საჟენის სიშორეზედ მგზავრებს ხეების ქვეშ დაუნახავთ ოთხმოცამდე ერთად თავ-მოყრილი კაცი, ერთი ტარანტასი, რამდენიმე ფურგონი, ცხენები, ურმები და სხვ. რამწამს მგზავრები მიახლოვებულან, წამომდგომები ... [illegible]

ძველი მუფტი

მოთხრობა ჟულ რიშარისა.

(დასასრული *)

IV

შინ რომ დაბრუნდენ, ტებომ ნახადერეფანში საყელო და მუფტა.

— ეს რა არის, იკითხა მან.

— ესენი ხომ მამიდა მადლენასი არიან, სთქვა გოცებით ტებოს ცოლმა.

— ახალ წელიწადს დაავიწყდა ესენი აქა, უპასუხა ბიჭმა:—მე მინდოდა წამეღო იმათთვის, მაგრამ როზამ მაბრძანა... ნუ წაიღებო.

— როზა სულელია, უბრძანა ქალბატონმა ბიჭსა და შემდეგ უთხრა ქმარს—ხვალვე წავიდეთ ჩვენ მამიდა მადლენასთან, არა. აქ რაღაც საიდუმლოება იმალება და უნდა შევიტყოთ.

ოთახში რომ შედიოდენ, ცოლმა უთხრა ქმარს.

— ხვალ ჩვენ ჯერ ბონს გავუაროთ, ვიყავით მისგან კვერნის შუბკა და მუფტა მამიდა მადლენასათვის.

შენ სწორედ ანგელოზი ხარ! შეთხრა ქმარმა და გარდაეხვია ცოლს!—შენ ისიც არ იცი, რომ მამა-ჩემმა სიკეთე არც-კი დაუნახა თავის ნუგეშისმცემელს; შენ გრძნობ, რომ ყველა, რასაც ჩვენ ეხლა ვეულობთ, იმ კეთილ-შობილი დედაკაცის წყალობაა... დიაღ მამა ჩემი დაუმადლებელი კაცი იყო, მან დაივიწყა მადლენა. როდესაც შეასრულა კურსი სწავლისა და მიიღო შესაფერი ადგილი სამსახურში, მას ეთაკილებოდა თეთრი ფართუკი და მორგვალო ჩეფჩიკი თავის მეორე დედისა. ნაცვლად იმისა, რომ არ ეთაკილნა თავის მდაბალი შთამამავლობა, იმას ეგონა, რომ მადლენას ნათესაობა დაუშლის მას სამსახურში წინ წასვლას; პირველად მიზეზებს იგონებდა, რომ მადლენას არა სჩვენებოდა, რომელიც ისევ მოსამსახურედ იდგა პარიჟში ეტენის სწავლის გათავების გულისათვის, შემდეგ სრულიად დაავიწყდა სენ-ჟაკისაკენ გზა. ჩვეულებრივის სულ-გრძელობით მადლენა პირიქით ბოდიშსა ჰხდიდა ნაცნობებთან.

—საწყალ ბავშვს ბევრი საქმე და ჯაფა აქვს, ამბობდა იგი: იმან უნდა იშრომოს და გზა გაიკვლიოს. აი როცა გამდიდრდება, მაშინაც მოასწრობს თავის მადლენას მოგონებას. მაშინ მე სულ დაბერებული ვიქმნები და მოუძლურებული, მაშინ ჩემი კეთილი ტეტენი ერთი ასათ გარდამიხდის, რაც რომ სიკეთე გამიწევია!.. მაგრამ მადლენა კიდეც დაბერდა და მამაჩემს ის არ მოჰგონებია, სოფლის ჩვეულებისამებრ იმან შეირთო ცოლი, გაუჩნდა სახლობა და მადლენა სრულიად ალარ აგონდება. თავის ძველი ხელობა, კრუჟოვების ქსოვა რომ არ მოჰგონებოდა მადლენას, სხვის ალმზდელი შიმშილით მოკვდებოდა, ამიტომ რომ დაბერებული კერძობა თუნდ დაბერებული ცხენი ყოფილა: იმათ თუ კიდევ გამოჰკვებამს კაცი მხოლოდ სიბრალულით და არა სიამოვნებისათვის. ახალმა დირექტორმა მხედველობაში არ იქონია ის კეთილი საქმე, რომელსაც დაესწრო იმის წინანდელი დირექტორი, რომ დაეფასებინა მადლენას ღირსეული სამსახური.

ტებო შესდგა; სჩანდა ეს მოგონება უვიწროებდა მას კეთილს გულს და ღონე ალარ ჰქონდა იმ სამწუხარო ამბის დასრულებისა.

— მამიჩემის სიკვდილის შემდეგ, განაგრძო მან:—მე ვიპოვე იმის წიგნებში მადლენას ბარათი, სადაც ალერსიანად უცხადებდა საყვედურს დაუმადლებლობისათვის. მე გავიგე, სადაც ცხოვრობდა მადლენა და მაშინ-

*) იხილე „დროება“ № 149.

გარა ხალიჩაზედ მჯდარი ყმაწვილი კაცი, რიგიანის სახისა, ხელი თავთან მიუტანია, მისალმების ნიშნად, და უთქვამს.

მე ჭიარიმი გახლავართ.

მგზავრებს უთხრეს, თურმე, ფული ამოელოთ. ჟურნოსოვმა ამოიღო საკვიჟიდამ ათ თუმნამდე და გადასცა ჭიარიმს. ულანთაროვმაც ასე ჰქნა, თუმცა მას ფული ნაკლებადა ჰქონოდა, რადგან დილიჟანსს ახლო თავის მამულში მიდიოდა. ჭიარიმს გარშემო შეიდი თავით-ფეხამდე შეჭურვილი კაცი ერტყა, რომელთაც ხელში პიბოდის თოფები ეჭირათ. ჭიარიმის თოფი იქვე ხალიჩაზე იდო. ფულის გამორთმევის შემდეგ ჭიარიმმა მიიწვია მგზავრები ხალიჩაზე დამსხდარიყვნენ, რომელზედაც ისხდენ აგრეთვე ტიგრანოვები ცოლქმარნი, მათზე წინად ტყვედ ჩაცვინულნი. ტიგრანოვის ცოლი პეტერბურგის კონსერვატორიაში გაზდილი ქალია, ეხლახანს გათხოვილა და პირველად არის კავკასიაში. ეს ქალი ნუგეშს აძლევდა ახალ მოსულებს, არაფერი დაგიშავდებათო. ჭიარიმმა ჰკითხა ჟურნოსოვს, ჩემოდანში რა გაქვსო და იმან მიუგო, პერანგებიო. ჩემოდანი გახსნეს, მაგრამ ჭიარიმმა მხოლოდ ერთხელ დაჰხედა და გადაქექა აღუკრძალა ამხანაგებს. ჟურნოსოვს ჭიარიმმა გამოართვა ვერცხლის პორტსიგარი და და საჰაგიეროდ თავისი მისცა (ამ პორტსიგარის, პატრონი ამბობს თურმე, რომ, რაც უნდა მომცენ, ჭიარიმის ნაქონს პორტსიგარს არ გამოვიმეტებო). როცა ჭიარიმმა დაატყო, რომ ყველას პაპიროზები გამოელიათ, უბძანა თავისი თამბაქო მოერთმიათ. ხურჯინიდამ ამოიღეს მთელი ყუთი თამბაქოსი. ჭიარიმმა მიაწოდა ეს ყუთი ჟურნოსოვს და უთხრა: «ფეშქაშ».

ჭიარიმმა რუსული არ იცის; იცის მხოლოდ რამდენიმე სიტყვა. ლაპარაკობდენ უფრო ულანთაროვის შემწეობით, რომელმაც თათრული იცის

— «ჭიარიმი რაზბონიკი არ არის, ნაჩალნიკია რაზბონიკი» ამბობდა თურმე იგი. რად ჩასვეს ციხეში ჩემი ცოლი, და, დედა? ქალების ხელის ხლება შეიძლება, განა? ჭიარიმზედ თუნდ მთელი პოლკი გამოგზავნონ (აქ თავი ამაყად მაღლა აიწია და ულვაშები გადიგრიხა), მაგრამ ქალებმა რა დააშავეს! ჭიარიმი რაზბონიკი არ არის, ნაჩალნიკია რაზბონიკი!

ამ დროს ახლო მდებარე სერებიდამ ყარაულებმა რაღაც ნიშნები მოსცეს; ჭიარიმის ამხანაგებმა თოფები მოიმზადეს; გამოჩნდა კიდევ ერთი ტროიკა. ტროიკით მოდიოდა სამხედრო გამომძიებელი უსაკოვსკი. იმასაც გაუსინჯეს ჩემოდანი და უპოვეს ყუთი, საიდამაც 400 მანათი ამოიღეს; თანაც 80 მანათამდე ქონდა. უსაკოვსკის ფორმის ტანისამოსი ეცვა და ჭიარიმმა იკითხა, ეგ რა ფორმა არისო. აუხსნეს, რომ სამხედრო მოსამართლე არისო.

— ვიცი, ვიცი, ეგ ის მოსამართლეა, ნახევარ საათში, რომ ხრიჩ! სთქვა ჭიარიმმა და ხელი ყელზედ გაისვა.

უსაკოვსკის რაგინდარიდამ ჭიარიმმა ამოიღო მუნდირი აკადემიის ნიშნით, ჩაიცვა, ყველანი აცინა, მერე გაიხადა და პატრონს დაუბრუნა. უსაკოვსკისთან ერთად იჯდა დილიჟნის მცხოვრები ასაბ-ჰასან-ოღლი, ვიღაც ვაჭრის შეგირდი, თბილისში საქონლისათვის მომავალი. მას თან წვრილი რაგინდარა ჰქონდა, რომელიც ყარაულებმა ერთს წამს წაიღ-წამოიღეს. ზოგმა ხელსახოცს დააელო ხელი, ზოგმა წინდებს და სხვ. ბიჭმა ტირილი მორთო. მაშინვე ტანისამოსი გაუსინჯეს და 350 მანათი უპოვნეს ჩაკერებული, რომელიც, რასაკვირველია, იმ წამსვე წაართვეს. ბანჯის სომხებს, ვაჭარი ნობათოვის შეგირდებს სვიმონ ანტონოვს და ალექსი ესაევს 300 მანათამდე წაართვეს. მასუკან მოიყვანეს ორი მალაკანი პირველს წაართვეს 350 მანათი, მეორეს 150 და ოქროს საათი, ნაჩუქარი დიდის მთავრის უწინდელის მთავარ-მმართებლისა. ერთს ამ მალაკანთაგანს, რომელიც კარგა ჩასუქებულიყო, ჭიარიმმა მუცელზედ ხელი დაარტყა და უთხრა: «გეტყობა ბევრსა სჭამ, მაგრამ აქ კი,—თავზედ უჩვენა—ძალიან ცოტა გიძევს».

— ავაზაკო! უპასუხა მალაკანმა. ბაგონილა რასაც შენ სჩადიხარ! ყველაფერი წაიღე, მაგრამ ფულს რას მემართლები. ყველას გაეცინა. სხვებზედ ბევრი ჭიარიმმა იცინა. ტიგრანოვებს თან კამფეთები ჰქონდათ, რომელიც ყაჩაღებს ძალიან ეგემათ, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ არც ერთი ხელით არ იღებდა, იღებდა იმ მაშით, რომელიც თითონ კამფეთის ყუთში იყო. ჭიარიმიც ტყვეებს საზამთროთი გაუმასპინძლდა, რომლისაც ორი ურემი ჰქონდა ნადაელი. ჭიარიმმა დაუბრუნა ჟურნოსოვს რევოლვერი და უსაკოვსკის საგვარეულო ბეჭედი. მას აუხსნეს, რომ ბეჭედი ასი წელიწადია უსაკოვსკების გვარშიაო

— თუ მაგდენი ხანი შეგინახავთ, უკანვე წაიღე. ეს რომ სთქვა, გამოიძრო ბეჭედი ნეკიდამ და მიაწოდა უსაკოვსკის.

ბამოთხოვების დროს ჭიარიმი მივიდა სათითაოდ ყველასთან, ვინც რიგიან ხალხად ეჩვენა, ხელი ჩამოართვა, შეჯდა ცხენზედ, გააწყო თავის რაზმი, თავი დაუკრა და სიმღერით გასწიეს მოსეზედ.

საკვირველი ის ყოფილა, რომ არც ერთს სტანციაზედ, რომელიც ამ ტყვეობის ალაგის აქეთ-იქით მდებარებენ, არავის არ მიუქცევია ყურადღება რომ მთელი დღე არც ერთმა სულიერმა არ გამოიარა, რომ არც ერთს მათგანზედ ფოსტის ცხენები არ დაბრუნდენ უკან ჩვეულებისამებრ, არც ერთმა ჩაფარმა არ გაიწაწანა ამ გზაზედ..

შინაური ქრონიკა

ᲔᲔᲔ ჩვენს მკითხველებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბ-ნი Ѳხორჟევსკი ნელა თარგმნის ჩვენის პოეტების ლექსებს რუსულად და შემდეგ ცალკე გამოცემას აპირობს. ბუშინწინდელ (№135) ნომერში «ახ. მიმოხილვისა» არის დაბეჭდილი ალექს. ჭავჭავაძის «ლოთებო ნეტავი ჩვენა!»-ს თარგმანი, რომელსაც ისეთივე გაუსხვავებული, ბერანჟისებული, ბეჭედი აზის, როგორი ბეჭედიც ატყვია ლექსს თვით ნამდვილში. მხოლოდ მთარგმნელს ლექსის შთაბეჭდილება რამდენსამე ალაგას იმითი შეუცვლია, რომ სიტყვას «ლოთი» სთარგმნის სიტყვით «пьяный». ეს ბრალი, რასაკვირველია, უფრო უნდა იმას დაედოს, ვინც ლექსი სიტყვა სიტყვით გადაუთარგმნია და არ კი აუხსნა მათი მნიშვნელობა, ვიდრე თვით ბ. Ѳხორჟევსკის.

ᲔᲔᲔ იმ დღის შემდეგ, რაც ყაჩაღმა ჭეირიმმა მთელ ორ როტას მოუყარა თავი დილიჟნის გზაზედ და თავისი ქვეითი ხალხი საუკეთესო არჩეული ცხენებზე შესხა, თამამად ველარავინ დადის ერევნისა და ბუმბრის გზაზედ. თბილისიდამ და ბაქოდამ მოსულები ალტაფის სტანციაზე მრავალნი არიან და წასვლას კი თავიანთ გზაზედ ბევრი ველარა ჰბედავს.

ᲔᲔᲔ ბ-ნი ბონჩაროვის მოსელის შემდეგ პალატის თავმჯდომარედ გადაწყდა, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა რიცხვს ჩვენს მხარეში უეჭველად მოემატოს და მოემატოს საჭესამჩვევად. მალე ეს გადაწყვეტილება აღსრულდება. ერთი მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე ამ ცოტას ხანში სილნაღისკენ იგზავნება, ერთი თელავისკენ, ორი ბორისკენ და სხვ.

ᲔᲔᲔ ივლისის 11-დამ ცხენის რკინის გზით ვაგონები ვერის ხიდზედაც მუშაობენ. მუშტაიდამდის ორი ვა-

---

ვე წერილი მივწერე; ერთი სიტყვით მე გამოვისყიდე რამდენადაც შევიძელ მამაჩემის დანაშაულობა მადლენას წინაშე. ჩემდა საუბედუროდ იმ დროს მდიდარი არ ვიყავ, რადგან მოჯამაგირედ ვიდექ ერთს ვაჭართან და ფულით დახმარება არ შემეძლო; მამაჩემმა ვალის მეტი არა დამიტოვა-რა, ამისათვის მადლენას წელიწადში ასი ფრანკის მეტს ვერ ვაძლევდი საზრდოდ. მადლენა კი უნდა დამერწმუნებინა, რომ მამაჩემმა ანდერძად დამიგდო შენი ვალი გადამეხადა მეთქი. მე და ერთი მეგობარი ყმაწვილი კაცი ნოტარიუსის კანტორაში მოსამსახურე, რომელმაც იკისრა ამ პატარა კომედიის თამაშობა მადლენასთან. მადლენამაც დაიჯერა და აქამდის არ იცის ნამდვილი გარემოება, იმან ისიც არ იცის თუ მამა-ჩემის გულისათვის იმის თავ-განწირულება მე დაწერილებით ვიცი. როდესაც მოიგონებს ხოლმე მამა-ჩემს, ყოველთვის უძახის მას თავის საყვარელს ეტენს და ყოველ შემთხვევაში იმის თქმასაც არ ივიწყებს, რომ მოხუცებულობის ჟამს იმის წყალობით არის მყუდრო ცხოვრებაში. როცა ჩემი მდგომარეობა შეიცვალა და გავმდიდრდი, მაშინ მე ბევრს ვეცადე შემწეობა მიმეცა, მაგრამ იმან არ მიიღო ჩემი შემწეობა.

— ᲝᲐ! მაგ საქმეს მე თითონ ეკისრებ, შეჰყვირა ტებოს ცოლმა:— დედა-კაცები უფრო ადვილად მოახერხებენ სურვილის ასრულებას, ვიდრე კაცები.

— ბაფრთხილდი, არ შეეხო ჩვენი კეთილ-სვინიდისიანი მეგობრის საიდუმლოებას.

— ნუ სწუხარ, მე შენ გარწმუნებ, რომ ყველას კარგად გავარიგებ, ამისთვის რომ მეც მინდა დავიმსახურო მისგან დანაშაულის პატიება—და ჩემი ძველი მუფტის ამბავი დავავიწყო, დაუმატა მან წყნარად.

V

მეორეს დღეს რომ მივიდენ ტებო და იმის ცოლი მამიდასთან, იგი მკვდარი დახვდათ. იმას დასძინებოდა საუკუნოდ ქვეშაგებშივე: ხელები დაეკრიფა, თითქოს ლოცულობსო, ხელში კრიალოსანი ეჭირა; უკანასკნელი იმისი აზრი ლოცვა ყოფილიყო.

ის მოკვდა იმ რწმუნებით, რომ ეტენმა გარდაუხადა ამაგი, რომ იმის ძმის-წული თავის ცოლით ვერ შეიტყობს, რა დავალება ჰქონდა იმის მამაზედ.

ტებომ არა დაიშურვა-რა იმის დამარხვაზედ. მშვენიერის ბალდახინით წაასვენეს წმინდა წამებული თავის უკანასკნელ სადგურს. ტებოს ცოლმა ისურვა მადლენას დამარხვა იმ ძვირფასი ბეწვეულით, რომელიც სიკვდილის დღეს დილით უყიდა.

თვითონ ტებო წელიწადში ორჯერ მიდის მონმარტის სასაფლაოზედ—იანვრის ხუთს მიცვალებულების სულის მოხსენების დღეს და მადლენას საბელწოდების დღესა და მადლენას საფლავს ყვავილებითა რთავს.

მსურველნი მადლის გარდახდისა კიდევ იპოვებიან ამ ქვეყანაზედ.

VI

რა იქნა ძველი მუფტა?

რამდენიმე ხანი გავიდა მადლენას სიკვდილის შემდეგ; ტებოს ცოლი ალაგებდა თავის კამოდს, ნახა ძველი მუფტა და გოგოს აჩუქა.

ამ გვარად ისევ როზას დარჩა გამონაცვლების რომელიც კინალამ არ ჩაუარდა მამიდა მადლენას ხელში.

ნინო ურისთვისა.

გონი დადის, რომელიც ხიდის ყურზედ, ულრლანოვის მამულთან, ჩერდება; აქედამ მერაზედ მიმავალნი სხვა ვაგონში უნდა გადასხდენ და მხოლოდ თითო შაური გადაიხადონ.

ᲐᲐᲐ Ქუკიაში, Ქირიჩნის ქუჩაზედ, ერთი დიდი არხია ამოთხრილი, რომლითაც ბაღის პატრონებს წყალი გაჰყავთ. Არხი საკმაოდ ღრმაა და ნაპირებზედ არც კედელი აქვს, არც მესერი. ამას წინად ერთი ქალი ჩავარდნილიყო და ძლივს ამოეყვანათ. ნუ თუ შუა ქალაქში ესეთი საფრხის გაკეთება მოსათმენია?

ᲐᲐᲐ Შიზიკოსმა Დერინგმა, როდესაც თავის სასარგებლოდ სურათების ჩვენება გაათავა, ერთი წარმოდგენა გამართა წმ. ნინოს ზაეედენიის სასარგებლოდ, რომელზედაც 500 მანათამდე შემოვიდა. ᲑᲘკვირს რომ აქამომდე ამ წარმოდგენის ანგარიში არ გამოაცხადეს.

ᲐᲐᲐ ᲖᲝგიერთი ჩვენი ეაჭრები არც ხელის სიყალბეს ერიდებიან, არც წონისას. ᲞᲐ-ციის მოვალეობაა მიაქციოს ამას ყურადღება და როდესაც კი ეჭვს აიღებს, რომ რომელიმე ვაჭარი მუშტარს წონაში, ან ზომაში ატყუებს, შიგ ჩაერიოს და ვაჭარს მისი საზომავი და საწონავი იარაღი მთლად ერთიანად აურწყას და აუწონოს. ასე მოქცეულა ამ დღეებში სოფ. Ველისციხის მამასახლისი ერთის საჩივრის გამო და ნაყოფად მისის გამოძიებისა სიყალბისათვის დატუსაღებული ორი მიკიტანია. Არ იქნებოდა ურიგო სხვაგანაც მიექციათ ამ საგნისათვის ყურადღება, მეტადრე იმისთანა სოფლებში, სადაც უცხო ხალხი მრავალი მოდის ან თავის საქონლის გასაყიდად, ან მისთვის საჭირო საგნების საყიდლად.

ᲐᲐᲐ Გაზეთი „კავკაზი“ გვაცნობებს, რომ ქეირიმას „ტუვეობის დღეს“ მიუმართავს თავის ტუვეებისათვის, განსაკუთრებით საძმედრო გამომძიებლისათვის და უთქვამს:

— წადით და უთხარით „ნაჩალნიკს“, რომ თუ ათი დღის განმავლობაში ჩემს ცოლსა და ნათესავებს არ გაანთავისუფლებენ, მაშინ მართლა ავაზაკი შევიქნები, ისეთი, როგორსაც გაზეთებში მსახავენ. მაშინ მე დასახოცად აღარავის დავინდობ, ვინც კი ხელში ჩამივარდება.

ᲐᲐᲐ Ამავე გაზეთს ერევანიდამ შემდეგს უცნაურს ამბავს ატყობინებენ: იმ დროს, როდესაც აქ მოვიდა უფროსი თავმჯდომარე პალატისა ბ. გონჩაროვი რევიზიისათვის, გარდაიცვალა გულის სიმსუქნით სასამართლოს წევრი ს. რომელსაც გონჩაროვი არც კი იცნობდა, მაგრამ რომლის ბედშიაც როგორც თვით თავმჯდომარემ, ისე მისმა მეუღლემ დიდი მონაწილეობა მიიღეს და დამარხვაც თითონ იკისრეს. გონჩაროვის ცოლმა განსვენებულის ობლებისათვის 3000 მანათი შეიტანა. ბანკში. ᲞᲐტარა სანს უკან მეორე წევრი კ. Შკუიდამ შეიშალა და თავის ცოლშვილი საშინელს მდგომარეობაში ჩაჭყარა. გონჩაროვები ამ ოჯახსაც დიდის თანაგრძნობით მოექცნენ და ცოლი თავიანთ სარჯით სამშობლოში გაისტუმრეს.

ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ შეთანხმება გარეშოებისა... ᲞᲐტარა ქალაქში ერთი მოსამართლე Შკუიდამ იშლება, მეორეს გული უსკდება, სწორედ მაშინ, როცა მათი უფროსი ამ ქალაქში იმეოფება... Სარეკიზიოდ

რუსეთი

Ზამოვიდა კანონი, რომლის ძალითაც სალდათების ცოლებს ნება ეძლევათ ითხოვონ ცოლ-ქრმობის მოშლა, თუ ქმრის გაქცევის, დაკარგვის, ან ტყვედ წაყვანის შემდეგ ხუთს წელიწადს გაუვლია.

—

Სამასწავლებლო სემინარიებთან ერთად დაწესებულნი არიან პირველ-დასაწყისი სკოლები, რომლებშიაც სემინარიის უფროსი კლასის მოწაფენი ვარჯიშობენ მასწავლებლობაში და გამოსაცდელ გაკვეთილებს აძლევენ. Სახალხო განათლების სამინისტროს გარდაწყვეტილებით ამას იქით გამოსაცდელ სწავლას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. Ამისათვის კვირაში ოცდა-ათი გამოსაცდელი გაკვეთილი დაინიშნება და მასუკან ეს გაკვეთილები განირჩევიან ცალკე კონფერენციების დროს.

—

Თუ დაგჭირებიათ როდისმე ტელეგრამის გაგზავნა რკინის გზით მოსიარულე პირისადმი, გამოცდილი გექნებათ, რომ ეს თითქმის შეუძლებელია. Ეხლა ფოსტებისა და ტელეგრაფების გამგეობას გაუადვილებია ეს საქმე. Თუ იცით, რომ თქვენი ნაცნობი ამა და ამ დროს ამა და ამ სტანციაზე უნდა იყოს, ტელეგრამას გაუგზავნით და მიღებულ ტელეგრამას დასვენების დროს ობერ-კონდუქტორი ჩამოატარებს ბუფეტებში და მაღალის ხმით წარმოსთქვამს იმის სახელსა და გვარს, ვისდამიც ტელეგრამაა მოსული. Თუ პატრონი არავინ აღმოჩნდა, ესევე მოიქცევა მაშინის სიარულის დროს ყველა ვაგონში. Თუ აქაც არავინ აღმოჩნდა, ტელეგრამა უკანვე გადაეცემა იმ სტანციის უფროსს, სადაც პირველად იქმნა მიღებული.

—

ᲩᲕენშია სიცხე და გვალვა და რუსეთშიაც თუ უარესი არა, ნაკლებიც არ არის. გვალვასთან ერთად ცეცხლის გაჩენაც გახშირდა. Აი რას ამბობს გაზ. «ნედელია» ამ საგანზედ:

«რუსეთი უწინდებულად ხისა და ჩალისაა, უწინდებულად ჩვენი სოფლები ერთად თავ-მოყრილი სახლების გროვას წარმოადგენენ, უწინდებულად ქალაქებში ცეცხლის საქროები მაშინები უვარგისნი არიან და სოფლებში სრულიად არსად მოიძებებიან; უწინდებულად ყოველ წელიწადს ვიწვით და ყოველ წელიწადს ასი მილიონისა მეტისა გვეწვის. ᲣᲑრალო კეთილ-გონიერება გვეუბნება, რომ ამისთანა სამწუხარო მდგომარეობას შველა უნდა. Უმთავრესი მოვალეობა ჩვენს თვით-სამმართველობებს აწვეს. Იმათ უნდა მოჰკიდონ ამ საქმეს ხელი. მათს გასავლის სიაში ცეცხლის საქროობ იარაღს დიდი ადგილი უნდა ეჭიროს. Ეს იარაღები სულ მცირე სოფლებშიაც უნდა მოიპოვებოდენ. Უნდა ჯილდოს მიცემით წავაქეზოთ ხალხი შორი-შორ გასასვლელად. Უნდა ხელი შევუწყოთ იმისთანა პირებს, რომელნიც ცეცხლისაგან დაუზიანებულ მასალა იგონებენ და ეს მასალა ხალხში გავავრცელოთ შენობებისათვის. Ყველა საშუალების ჩამოთვლა ძნელია, მაგრამ, უეჭველია, თუ სისტემატიურად ვიხმართ მას, მაშინ ყოველ წელს ცეცხლისაგან მოსპობილი მილიონები ხელში დაგვრჩება. Თუმცა დიდი ხარჯი დასჭირდება, მაგრამ ამას არ უნდა შევუშინდეთ, ხარჯი ერთი ასად ადგება. Რა უშლის ამ საქმის რიგიანად წაყვანას, თუ-კი ჩვენი თვით-მმართველები ერთგულად მოეკიდებიან?»

—

Ყირიმშიაც საშინელი გვალვაა თურმე. Სებასტოპოლიდამ სწერენ გაზ. «ნოვოსტს»: «აპრილის, მაისის და ივნისის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოვიდა წვიმაო და ისიც ნახევარ-საათის მეტი არა. Მცენარეობა მოიწვა. Სებასტოპოლის გარეშემო ღერი ბალახი არ გაუთიბავთ, ფუთი შარშანდელი თივისა 70—90 კაპ. იყიდება. Ეხლა ესეა, რა იქნება ზამთარში?! სიცხემ სულები დაგვიხუთა. წყალში ბანაობაც არას გვარგია, რადგან წყალის ტემპერატურა 20 გრადუსამდე ავიდა».

—

Ვარშავაში აპირობენ თურმე ახალი ფრანკუზული ბანკის გახსნას, მეურნეობისა და მრეწველობის ხელის-შესაწყობად. Ძირის ფული 10 მილიონი ფრანკი იქნება, 4 მილიონი ხელის-მოწერით შეუვსიათ კიდეც.

—

ᲥᲘშინიოვიდამ (Ბესარაბია) იწერებიან რომ იქ ფილოქსერას ძალიან გაუდგავს ფესვი. Იზმაილის მაზრაში შიშობენ, რომ ვენახები სულ არ ამოსწყდეს. Იქ მისულა მწერების—შემსწავლელთა კომისია, მაგრამ ხალხი ცუდის თვალით უყურებს თურმე სწავლულთ.

—

Ამ ცოტას ხანში რუსეთში აპირობს მოსელას პასტორი ლენსდელი, რომელსაც რამდენიმე წიგნი დაუწერია ციმბირზედ და შუა აზიაზედ. Ეს პასტორი მოვა აგრეთვე შაეის ზღვის ნაპირებზედ, აქედამ მცირე აზიაში წავა და მცირე აზიიდამ სტამბოლში.

—

Პოლშელებსა ჰყავთ გამოჩენილი მხატვარი მათეიკო. Ეს მხატვარი ითვლებოდა Ქრაკოვის მხატვრობის დირექტორად, მაგრამ ბოლოს დროს უარი უთქვამს თავის თანამდებობაზედ. Მიზეზად რუსული გაზეთები ამბობენ, სთელიან, რომ პოლშელებმა გამოჩენილს მხატვარს საქმე გაუჭირეს თურმე, სთხოვდენ რა ახსნას იმ წერილისას, რომელიც იმან პეტერბურგის გაზეთებში დასწერა და რომელშიაც რუსეთს თანაგრძნობით იხსენიებდა

—

Ვარშავის გაზეთები იწერებიან, რომ პრუსიის კაპიტალისტებს განუზრახავთ 24 დიდი მამულის შეძენა პოლშაში. Ამის შესახებ «გრაჟდანინი» ამბობს: «ᲩᲕენი მეზობელი ნემეცები სულით არა ვარდებიან. Ერთი ხელით ათასობით რეკენ პრუსიიდამ ჩვენს ქვეშევრდომებს და მეორე ხელით ჩვენს დასავლეთის მხარეს იპყრობენ. მთელი ის ჩვენი მხარე, რომელიც პრუსიასა საზღვრავს, პრუსიელებით არის დასახლებული; ესევე ითქმის Ავსტრიის სამზღვარზედ. მთელ პოლშას იკელევენ პრუსიელები და შიგა სახლდებიან. Ეს დიაღ კარგი პრუსიელებისათვის, მაგრამ კარგია ჩვენთვისაც თუ არა და შესაფერი ჩვენის ინტერესებისათვის,—ეს სხვა საქმეა. ᲩᲕენ უცნაური პოლიტიკოსები ვართ, ღვთის წინაშე. 1863 წლიდამ სულ ვცდილობთ ჩვენის დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მხარის გარუსებას, მაგრამ გარუსების მაგივრად განემეცება გამოდის. Თუ Ავსტრიასთან, ან Ბერმანიასთან ომი მოხდა, ჩვენი ჯარები ჩვენს სამზღვარზედ იქნებიან, მაგრამ გერმანიელების შორის; კი და თუ ავსტრიელები, ან გერმანიელები შემოგვესიენენ,—ვითომ შინა ყოფილან!»

—

Ყირიმიდამ იწერებიან, რომ 30 დღის მარხვამ, მეტადრე, ამ სიცხეში დიდი ენება მოუტანა იქაურ თათრებსაო. Დილიდამ საღამომდე ამ პაპანაქება სიცხეში მუშაობდენ და არ შეეძლოთ არც კი პირში ლუკმა პურის ჩადება, არც წვეთი წყლის ჩაშვება. მხოლოდ ღამე იკლავდენ საბრალონი წყურვილსაც და შიმშილსაც. Ესეთმა მარხვამ ბევრი მუშა-კაცი იმსხვერპლა. Ზოგნი უჭმელ-უსმელობისაგან რომ ძირს ეცემოდენ და ავადა ჰხდებოდენ, წამალსაც კი არ იკარებდენ, რადგან სარწმუნოება ამის ნებას არ აძლევდა და ეს უფრო აძნელებდა მათს მდგომარეობას.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

„Ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ 13-Ს.

ᲛᲝᲡᲙᲝᲚᲕᲘ. ᲓᲦᲔᲡ დილით დაიწვა კარგა დიდი ნაწილი „ერმიტაჟის“ სასტუმროსა და შუადღისას ძლიერი ცეცხლი გაჩნდა ზარიადიეში, სადაც აგრეთვე დაიწვა ორი ქარვასლა.

ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ-ᲓᲝᲜᲖᲔ. ცხენების მომშენებელი იდოვაისკი სჩობს თავის ზავოდს, სადაც კი მაჯინებელ ცხე-

ნებსა ეზდიდა. ვაჭრობა ცხენებისა აგვისტოში იქნება.

ლონდონი. სალისბიურის ორგანი „Morning Post“-ი ამბობს: კარეშე საქმეთა მინისტრად ნამეფეფა გრენვილმა გამოაცხადა, რომ ესლანდელი კაბინეთის პოლიტიკა ავღანისა და ეგვიპტის საქმეებში დარსია უწინდელ სამინისტროს წეგრთაგან ხელის შეწყობისა.

გაზეთები ამბობენ, რომ რუსეთთან მოლაპარაკებას კარგი ნაშნები დაეტყოო.

ილისის 14-ს

პეტერბურგი. «გრაჟდანინი» ამბობს, რომ შინაურ საქმეთა მინისტრი ჯანმრთელობის ადსადგენად ოქტომბრამდე სოფელში დარჩებაო.

სიმლა. აბდურახმანის ბმანებით დიდის ძმით იდდეს სწაულეს ბოძება მისდამი ინდოეთის კარსკვლავის ორდენისა. ქაბული—სამი ღამე გაჩარადნებული იყო; დიპლომის კომი ეველგან გამოჭკდეს.

თეირანი. სპარსეთის მთავრობამ კვლად განაახლა ტელეგრაფის მავთული მეშხედისა და სერახსის შეა.

ბირჟა

პეტერბურგი ილისის 12.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე	— —	$23^3/_4$	$23^7/_8$ $23^3/_4$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე	—	—	$202^1/_2$ $203^1/_4$ $202^1/_2$
100 მან. კურსი სამის თვით პარიზზე	— —	250	$250^1/_2$ 250
პოლუიმპერიალები	—	8 მ.	30 კ. გაუ.
ტამოჟნის კუპონები	—	8 მ.	30 კ. გაუ.
ვეცხლის მანათი	—	1 მ.	29 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი	— —	$5^3/_4$	და $6^3/_4$%
5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა	— — —	99 მ.	12 კ. გაუ.
მეორე გამოცემისა	—	$97^1/_2$ მ.	გაუ.
მესამე გამოცემისა	—	97 მ.	12 კ. მუ.
მეოთხე გამოც.	— —	97 მ.	12 კ. მუ.
მეხუთე გამოც.	— —	$97^1/_4$ მ.	მუ.
5% ალმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც.	—	95 მ.	87 კ. გაუ.
მეორე გამოც.	— —	95 მ.	12 კ. მუ.
მესამე გამოც.	— —	95 მ.	12 კ. მუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა	—	218 მ.	გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა	—	$212^1/_2$ მ.	გაუ.
ოქროს რენტა	— —	$171^3/_4$ მ.	გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები	— — —	27 წ. 89 მ.	გამუ.
		43 წ. $87^3/_4$ მ.	გამუ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.		18 წ. 91 მ.	გამუ.
		43 წ. 90 მ.	გამუ.

ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 კათათვიდამ 1 მარიამობისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი ბური რუსეთის ფქვილისა	—	—1	გირ. 5 კ.
აქურის ფქვილისა: პირველის სარისსისა	—	—1	ბ. $2^1/_2$
შეორისა	— —	—1	ბ 2 კ

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

პირველი სარისსის	—1	ბ.	$4^1/_2$
შეორისა	— — —1	ბ	3 კ.
მესამისა	— — —1	ბ.	$2^1/_2$

ჯვარის-მამის ბური:

პირველის სარის. ლავაში	1	ბ.	$4^1/_2$
შეორის სარის. ლავაში	1	ბ.	$3^1/_2$
მესამისა	— — —1	ბ.	3 კ

ძროხის ხორცი:

პირველის სარისსისა	—1	ბ.	7 კ.
ძეორისა	— — —1	ბ.	6 კ.
სუკი	— — — —1	ბ.	14 კ.
ცხვრის ხორცი	— —1	ბ.	8 კ.

ღორის ხორცი:

პირველის სარისსისა	1	ბ.	
შეორისა	— —1	—	ბ.

რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

თბილისიდამ ბათუმისაკენ 8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდამ თბილისში შემოდის 10 საათ. 25 წამ. ღამით.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის 8 საათ. დილით

თბილისიდამ სურამისაკენ 3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდამ თბილისში შემოდის 8 საათზედ 24 წამ. დილით

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საცნობელად, რომ 1885 წლის ენკენისთვისათვის სასწავლებელში იქნება მხოლოდ ოც-და-თსუთმეტის ყმაწვილისათვის თავისუფალი ადგილი პირველს განყოფილებაში, რომელში შემომსვლელებს ეგზამენი არ მოეთხოვებათ, მაგრამ წლოვანობა მათი კი არ უნდა აღემატებოდეს შვიდს წელიწადს. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზედ, 20 აგვისტოდგან 29-მდის და თხოვნასთან ერთად წარმოადგინონ წლოვანების მოწმობა და აზნაურობისა, ან აზნაურობის მოწმობის მაგიერ ბანკის მოწმობა, რომ ყმაწვილის მშობლები (ან დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთ რიცხვში ითვლებიან. სხვა განყოფილებებში და პირველს და მეორე პროგიმნაზიულს კლასებში არც ერთი ადგილი არ არის თავისუფალი. სწავლა დაიწყება ყველა კლასებში პირველს ენკენისთვეს. (6—5)

ქუთაისში,

ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მაღაზიაში ისყიდება ყოველ-გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირ-და-პირ საკუთარ შენობაში. (8—8)

დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში და ქუთაისის წიგნების მაღაზიებში,

დიდი ქართალიოსის

ანტონ პირველის ვრცელი

ქართული ლრამატიკა

ალექსანდრე ეპისკოპოზის თაოსნობით და საფასით, მხედველობასა ქვეშე თ. რაფაელ ერისთავისა. წიგნი შეიცავს საბეჭდავი 19 თაბახს დიდი ფორმატისას და იყიდება 1 მან. 50 კაპ. (3—3)

კახელ მემამულეთა

ერეკლეანელი

თ. ა. ი. ჯანდიერებისა

ღვინის სარდაფში.

ისყიდება კარგად შენახული ნამღვილი ღვინოები კახეთის საუკეთესო ზვრებისა; ამასთან თეთრი და წითელი ღვინო სოფ. ვაჩნაძიანისა— ,, თ. ჯანდიერებისა.

სოფლად გამსვლელთ შეუძლიანთ მოითხოვონ ერთბაშად.

სოღოღაკი, სერგიევის ქუჩა, № 2. (10—9)

საგლობუსო კალმები



ტურნერისა და ამხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია—არწრუნისეულს ქარვასლაში. იქვე თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კანვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაჭდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შჩოტკები, პირსახოცები, ჭოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეჯშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა“ (pen of exhibition, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპეიკად თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—23)

ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, (92 სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85 რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარგარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

ჩვენი ჩაი	1	მან.	—	კაპ.	ჩაის	სხვაგან	1	მან 20 დირებულ.
,, ,,	1	—	20	—	,,	,,	1	— 50 —
,, ,,	1	—	40	—	,,	,,	1	— 80 —
,, იშვიათი	1	—	60	—	,,	,,	2	— 20 —
,, ჩინეთის ყვავილი	1	—	80	—	,,	,,	2	— 50 —
,, ფუჩეფუ	2	—	,,	—	,,	,,	2	— 80 —
,, ფენომენი	2	—	40	—	,,	,,	3	— ,, —

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება

ქალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც 6-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; ყველაფერი პირველ სელიდგან—აი საიდუმლო ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის, კალმებს, ქაღალდს, კრაოტებს და სხვ. (100—26)

Дозв. ценз. Тифлисъ, 15 Іюля 1885 г. მელიქ-შეილის სტამბა. გამომცემელი ბ ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.